სემინარი ახლაციხის უნივერსიტეტში

2005 წლის 25-26 ოქტომბერს რამოდენიმე ტაძრის მრევლი და სამღვდელოება გავემგზავრეთ მესხეთ-ჯავახეთში სიწმინდეების მოსალოცად. იმავდროულად შემწეობა ჩავუტანეთ ვალეს, ივლიტას, არალის, უდესა და საროს მოსახლეობას, მრავალშვილიან ოჯახებს, ტაძრებს, მონასტრებსა და მრევლს მართლმადიდებლური ლიტერატურის, საკვები პროდუქტების, ტანსაცმლის, სკოლის სახელმძღვანელოების, რვეულების, სხვა სასკოლო ინვენტარისა და ფულადი დახმარების სახით.

ახალციხეში ჩასულებმა შევიტყვეთ, რომ ახალციხის უნივერსიტეტში უნდა დაწყებულიყო პრეზენტაცია გაბრიელე ბრაგანტინისა და ნუგზარ პაპუაშვილის წიგნისა, რომელიც დაიწერა თინა იველაშვილის წიგნის – „სოფელ ივლიტას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“ – საწინააღმდეგოდ. ჩვენ გაგვიჩნდა ამ წემინარზე დასწრების სურვილი, მითუმეტეს, რომ სემინარზე დასწრება თავისუფალი იყო. მისვლისთანავე და პირველი გამომსვლელების, ბატონების: ბრაგანტინის, პაპუაშვილისა და ჩიხრაძის გამოსვლის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ მოვხვდით არა სამეცნიერო სემინარზე, რომელსაც უნდა განეხილა სოფ. ივლიტას ტაძრის კუთვნილების საკითხი, არამედ ერეტიკოსების მიერ დაგეგმილ კათოლიციზმის საქადაგებლად მოწყობილ შეკრებაზე, რომელზეც, ძირითადად, ორგანიზებულად შეკლრებილ-მოყვანილი ჰყავდათ კათოლიკეები, მათ შორის 5 სასულიერო პირი. მოსახლეობის თვალში ორმხრივობის ილუზიის შესაქმნელად სხდომაზე მოწვეული და პრეზიდიუმში დაბრძანებული იყო მღვდელი ზაზა თევზაძე, რომლის ანტიმართლმადიდებლური და ანტიეკლესიური საქმიანობაც კარგადაა ცნობილი საზოგადოებისათვის. ის დაჰყავთ ყველგან, სადაც ლანძღავენ ეკლესიას, მართლმადიდებლობასა და მართლმადიდებლებს.

ორიოდე სიტყვით საპრეზენტაციო წიგნის შესახებ: ბრაგანტინ-პაპუაშვილის წიგნის მთავარი მიზანი და შინაარსია მართლმადიდებელი ეკლესიი ლანძღვა და მისი დადანაშაულება ფილეტიზმის მწვალებლობაში, ასევე, – კათოლიციზმის პროპაგანდა, რომლის დროსაც გამოყენებულია სიცრუე და ცილისწამება, მართლმადიდებელი მრევლის დადანაშაულება ძალადობასა და კაცთმოძულეობაში. რაც შეეხება ივლიტას ტაძარს, ამაზე სემინარზე თითქმის არ იყო საუბარი, ქ-ნ იველაშვილის წიგნის კრიტიკა იყო არამეცნიერული, დასკვნა – ტენდენციური და თავხედური, დაახლოებით ასეთი – არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვისი აშენებული იყო ივლიტას ტაძარი თავდაპირველად. რადგან იგი რევოლუციამდე კათოლიკე მრევლს ეჭირა და მას ჩამოერთვა, ამიტომ მართლმადიდებლებმა იგი ესევ კათოლიკე მრევლს უნდა დაუბრუნონო. მათ თავიანთი მოთხოვნა დაუკავშირეს სომეხ კათოლიკეთა მოთხოვნებს, რაც თანახმიერია სომხების პრეტენზიებთან საქართველოში 650-ზე მეტი ეკლესიის მათთვის გადაცემასთან დაკავშირებით. ასე შექმნეს კათოლიკურ-სომხური ფრონტი და გააერთიანეს პრეტენზიები, მიმართული მართლმადიდებლებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.